MES 8 22 0000970283

31/08/2022

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში 2022 წლის 17 აგვისტოს. სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888

Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 2022

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მარიამ ქუჩულორია - საბჭოს თავმჯდომარე;
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი), საბჭოს სხდომის მდივანი;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
თამაზ ბახტაძე - სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითრების სააგენტოს კოორდინატორი (პროფესიული განათლების) (საბჭოს წევრი);
ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);
ნიკოლოზ მესხიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
თორნიკე თოხაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზედენტი (საბჭოს წევრი);
ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
თამარ ჯაფარიძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგი:
ია ერაძე - წარმომადგენელი

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA:
ია ერაძე - დირექტორი,
ნათელა ჩაჩუა - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი.

შპს აჭარა ტექსტილე:
არჩილ მართალიშვილი- წარმომადგენელი

ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა:
ვახტანგ ბერიძე- დირექტორი,
ია თავართქილაძე - იურისტი,
მაია ანანიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,
თამარ მაჭავარიანი - ქორეოგრაფიული განყოფილების უფროსი.

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:

თამარ გიორგობიანი,
ნანა ხითარიშვილი,
მარიამ აბელიანი,
მაკო ჯაოშვილი,
უჩა დვალიშვილი,
ირმა წამალაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 11:00 საათზე.

ვინაიდან საბჭოს მდივანი, მარიკა ზაქარეიშვილი სხდომას არ ესწრებოდა, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის მდივნობა დააკისრა გიორგი გამყრელიძეს, რომელმაც თანხმობა განაცხადა.
საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ, რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ითხოვა ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგის /00847/ „მარკეტინგის და გაყიდვების სპეციალისტი - მარკეტერი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
2. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის /00665/ ,,სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა'' პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
3. შპს აჭარა ტექსტილეს /00449/ "მკერავი ოპერატორი'' პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
4. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის /01418/ ,,კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
5. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის /01416/ ,,ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
6. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის /01415/ ,,ბიბლიოთეკარი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

1. შპს ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსულტინგის /00847/ „მარკეტინგის და გაყიდვების სპეციალისტი-მარკეტერი" პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა თამარ გიორგობიანმა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მონიტორინგზე იმყოფებოდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელ ლანა გაჩეჩილაძესთან ერთად.

ექსპერტმა სხდომის წევრებს წარუდგინა საკითხი და შეახსენა, რომ შპს ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგში გეგმიური მონიტორინგი ჩატარდა პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,მარკეტინგის და გაყიდვების სპეციალისტი-მარკეტერის“ ფარგლებში. მონიტორინგის შემოწმების ფარგლები იყო მესამე სტანდარტი და აღნიშნა, რომ ყველა ქვესტანდარტი, რომელიც მესამე სტანდარტს ეხებოდა არის დაკმაყოფილებული.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა.
ვიზიტის დროს რეკომენდაცია არ გაცემულა.

თამარ გიორგობიანმა ისაუბრა 3.1-3.7 ქვესტანდარტების შესახებ.
3.1 ქვესტანდარტის ფარგლებში ექსპერტმა ისაუბრა შპს ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგის დაარსებისა და განვითარების შესახებ. ასევე მან აღნიშნა, რომ სკოლა თავისი არსებობით ხელს უწყობს ევროპული ბიზნეს პროფესიული საკვალიფიკაციო სტანდარტების ინტეგრაციას საქართველოში (EQF Standards) პროფესიული კურსების, ტრენინგების, ვორქშოფების და სემინარების გზით. სწორედ ამის დასტურია, პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,მარკეტინგის და გაყიდვების სპეციალისტი მარკეტერის“ განხორციელების უფლების მოპობა.
3.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით თამარ გიორგობიანმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის პროცესში გადამოწმდა ყველა ის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ დაწესებულება აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭირველე პროცედურებს თავისივე დადგენილი წესის მიხედვით, რომელიც შეაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებთან.
3.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ შპს ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგს გააჩნია ვებ-გვერდი, გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას ახდენს როგორც საკუთარი, ისე პარტნიორი ორგანიზაციის - შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის ვებგვერდის მეშვეობით. დაწესებულება ასევე აქტიურად იყენებს ელექტრონულ ფოსტას და მსმენელების ინფორმირებას ახდენს ინდივიდუალურად. წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით ექსპერტთა ჯგუფმა ქვესტანდარტი დაკმაყოფილბულად მიიჩნია.
3.4. ქვესტანდარტთან დაკავშირებით თამარ გიორგობიანმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროს შემოწმდა დაწესებულების მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ასევე აღმოჩნდა, რომ მათ გააჩნიათ მომსახურების ხარისხის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის ანგარიში, რომლის მიხედვით ხდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება; ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგების დადასტურების შეფასება. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ ქვესტანდარტი დაკმაყოდილებულია.
ვიზიტის დროს, 3.5 ქვესტანდარტის შემოწმების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა ბაზის შევსების სისრულე პროფესიული გადამზადების პროგრამისათვის ,,მარკეტინგისა და გაყიდვების სპეციალისტი-მარკეტერი“, რითიც დადასტურდა, რომ დაწესებულება კანონით დადგენილი წესით ახოციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას.
3.6 ქვესტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგის წარმომადგენლებთან ვიზიტის დროს გასაუბრებითა და წარმოდგენილი მასალებით დადგინდა, რომ დაწესებულება თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას, კერძოდ, ორგანიზაციამ 2021 წლის 02 ოქტომბრის N022 წერილით მიმართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომლითაც ცენტრს შეატყობინა, რომ „მარკეტინგის და გაყიდვების სპეციალისტი -

მარკეტერის“ პროფესიული გადამზადების პროგრამას დაემატა 4 განმახორციელებელი პირი, გარდა ამისა, 2021 წლის 05 ივლისის N014 წერილით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიმართა კონსალტინგის სერტიფიკატის ფორმის - მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის ენობრივი სისწორის შემოწმებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია.
რაც შეეხება 3.7 ქვესტანდარტს ექსპერტმა აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 მაისის N 99/ნ ბრძანების საფუძველზე, დაწესებულებაში ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის დამზადება და გაცემა. ასევე აღნიშნა, როომ დაწესებულების წარმომადგენლებთან გასუბრებით დადგინდა, რომ შპს ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგმა 2021 წლის 05 ივლისს N014 წერილით მიმართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სერტიფიკატის ფორმის - მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის ენობრივი სისწორის შემოწმების მიზნით. დადგინდა, რომ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი გაიცემა შესაბამისი ორენოვანი დანართით, დაწესებულებაში ვიზიტის მიმდინარეობისას შემოწმდა tvet.emis.ge - პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ატვირთული სერტიფიკატები და დანართები, შესაბამისად, დასტურდება, რომ დაწესებულება გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.
დაწესებულებამ პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულებზე გასცა 60 სერტიფიკატი (პირველი ნაკადი - 18, მეორე ნაკადი - 42). აქედან გამომდინარე ექსპერტების დასკვნით ქვეესტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საკითხის წარდგენის დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა თამარ გიორგობიანს წარდგენისთვის და საბჭოს წევრებს ჰკითხა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი შეკითხვები. ნიკოლოზ მესხიშვილმა გამოთქვა სურვილი და ითხოვა დაზუსტება, თუ ჩატარებულა სტატისტიკური კვლევა კურსის გავლის შემდგომ მსმენელთა დასაქმების შესახებ. საკითხის წარმდგენმა თამარ გიორგობიანმა უპასუხა შეკითხვას და აღნიშნა, რომ მონიტორინგის მიმდინარეობის პროცესში დაწესებულებას დასაქმების მაჩვენებლის ანგარიში არ წარუდგენია, თუმცა აღნიშნეს, რომ ანგარიში მზადდებოდა, უბრალოდ, იმ მომენტისთვის დასრულებული არ იყო.
შეკითხვას პასუხი ასევე გასცა დაწესებულების წარმომადგენელმა ია ერაძემ და აღნიშნა, რომ პროგრამის გავლის მსურველთა და კურსდამთავრებულთა რიცხვი იმატებს, რაზეც მიანიშნებს ისიც, რომ მათ კვოტის გაზრდასთან დაკავშირებით განაცხადი გაკეთებული ჰქონდათ უკვე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. ასევე დაამატა, რომ დასაქმების მაჩვენებლის სტატისტიკა უკვე მზად იყო და წარდგენილიც ჰქონდათ დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოში. ასევე, მზაობა გამოთქვა სტატისტიკის გაზიარების.
სხდომის თავმჯდომარემ მადლობა განუცხადა საკითხის წარდგენისა და განხილვისათვის მსმენელებს და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგის „მარკეტინგის და გაყიდვების სპეციალისტი - მარკეტერი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

მომხრე:9
მოწინააღმდეგე: 0

ექსპერტის დასკვნის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგის (ს/კ:404569926) „მარკეტინგის და გაყიდვების სპეციალისტი - მარკეტერი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

2. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის /00665/ „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა"პროფესიული გადამზადების პროგრამისფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სამჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ ქუჩულორიამ მიმართა საკითხის წარმდგენებს, რომ სხდომის წევრები უკვე იცნობდნენ დოკუმენტაციას და წარდგენისას ყურადღება გაემახვილებინათ ძირითად საკითხებზე.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ნანა ხითარიშვილმა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მონიტორინგზე იმყოფებოდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელ ნინო სტეფანიშვილთან ერთად.

ექსპერტმა სხდომის წევრებს წარუდგინა საკითხი და შეახსენა, რომ შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ში გეგმიური მონიტორინგი ჩატარდა პროფესიული ,, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა'' პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში. მონიტორინგის ფარგლები იყო მესამე სტანდარტი და აღნიშნეს, რომ ყველა ქვესტანდარტო, რომელიც მესამე სტანდარტს ეხებოდა, არის დაკმაყოფილებული.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა.
ვიზიტის დროს რეკომენდაცია არ გაცემულა.

ექსპერტმა ისაუბრა 3.1-3.7 ქვესტანდარტების შესახებ.
3.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ბიზნეს აკადემია სრულად აკმაყოფილებს ქვესტანდარტის მიხედვით წაყენებულ მოთხოვნებს და დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებში.
3.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულება აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, კერძოდ: დაწესებულებას შემუშავებული აქვს მსმენლის შერჩევის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების და სასწავლო პროცესის მართვის წესი, რომელშიც განსაზღვრულია ზოგადი დებულებები, პროგრამაზე რეგისტრაციის გამოცხადება, აპლიკანტთა რეგისტრაცია, აპლიკანტთა მიერ წარსადგენი დოკუმენტაცია, აპლიკანტთა შერჩევა, მსმენლის სტატუსის მოპოვება/შეწყვეტა, მსმენლის პირადი საქმე, მსმენლის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები, მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრების აღრიცხვა, სერტიფიკატის გაცემა, სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შენახვა და გამოყენება, დისტანციური სწავლების პროცესის ადმინისტრირება და პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების ფორმა.

რაც შეეხება 3.3 ქვესტანდარტს, დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, რისთვისაც იყენებს დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდს https://sba.edu.ge, სოციალურ ქსელს და ელექტრონულ ფოსტას.

3.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, კერძოდ, დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 6 თებერვლის №012 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის ადმინისტრირების ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუქცია“, აღნიშნულის შესამოწმებლად, მონიტორინგის პროცესში ექსპერტები გაეცნენ პროგრამის შეფასებისთვის გამოიყენებულ შემდეგ მექანიზმებს. მაგალითად: მომსახურების ხარისხის შეფასება და მსმენელთა კმაყოფილების კვლევა, პროგრამის განმახორციელებელი პირის თვითშეფასება, დასკვნის ფორმა საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე, სასწავლო პროცესის ეფექტიანობის შეფასება ხარისხის მართვის სამსახურის მიერ და ასე შემდეგ. შესაბამისად ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია.

3.5 ქვესტანდარტის შესახებ ექსპერტმა განაცხადა, რომ მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში გადამოწმებულ იქნა ელექტრონული სისტემის tvet.emis.ge-ის შევსების სისრულე აღნიშნული პროგრამისთვის სამივე მიღების შემთხვევაში. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას.

3.6. ქვესტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთათ, რაც დასტურდება ვიზიტის დროს წარმოდგენილი დოკუმენტებით.

3.7 ქვესტანდარტს რაც შეეხება ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება გასცემს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც არის ორენოვანი სერტიფიკატი და მოყვება თავისი დანართი. ექსპერტთა ვიზიტის დროს გადამოწმდა tvet.emis.ge და დადგინდა, რომ ყველა კურსდამთავრებულის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი ატვირთულია ბაზაში თავისი დანართით. წარმოდგენილი მასალების მიხედვით ექსპერტებმა დადგინეს, რომ აღნიშნული ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებულია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ვიზიტი მიმდინარეობდა საქმიან და მეგობრულ გარემოში, რაზეც მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს.

საკითხის წარდგენის დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ნანა ხითარიშვილს წარდგენისთვის და საბჭოს წევრებს ჰკითხა ჰქონდათ თუ არა დამატებითი შეკითხვები. ნიკოლოზ მესხიშვილმა გამოთქვა სურვილი კომენტარი გაეკეთებინა. მან აღნიშნა, რომ, როგორც ყველამ იცის პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაციის პროცესი მიმდინარეობს 22 აგვისტოს ჩათვლით და მნიშვნელოვანია, რომ ყველამ იზრუნოს გაზარდოს რიცხვი სსსმ თუ შშმ აპლიკანტების მოზიდვის და დარეგისტრირების. ამიტომ აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები გაუწევენ პოპულარიზაციას პროფესიულ პროგრამებს და გაზრდიან SBA- ში თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში სსსმ და შშმ აპლიკანტების რიცხვს.

SBA- ის წარმომადგენელმა ია ერაძემ მზაობა განაცხადა დახმარებოდა აღიშნული პროცესების განვითარებასა და დახმარებაში ნებისმიერი დაწესებულების თუ დაინტერესებული პირებისთვის. ხოლო ნიკოლოზ მესხიშვილმა მზაობისთვის მადლობა გადაუხადა და სურვილის შემთხვევაში შესთავაზა დახმარება რეკლამირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა ნანი დალაქიშვილმა სხდომის წევრებს აცნობა, რომ სხდომის დამსწრე პირისგან შემოსული იყო შეკითხვა, კერძოდ: ,,მოკლევადიანი აღმზრდელის პროგრამა რამდენად რელევანტურია,

რადგანაც დასაქმება ხდება ხოლმე ორწლიანი პროგრამის გავლის შემდეგ, ამიტომ საინტერესოა, რა შანსი აქვს მოკლევადიანი პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებული დასაქმდეს".
ია ერაძემ შეკითხვას უპასუხა და განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამის დაშვების წინაპირობაში მითითებულია სამუშაო გამოცდილება. ასევე აღნიშნა, რომ როგორც ცნობილია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში აღმზრდელებს, რომლებსაც არ აქვთ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, მათთვის კარგი შანსია აიღონ სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული სერტიფიკატი. ასევე, იმ ადამიანებს, რომლებსაც ჰქონდათ წყვეტა და უბრალოდ გადამზადება სჭირდებათ. აქედან გამომდინარე ეს მოკლევადიანი პროგრამა შესაძლებლობას იძლევა კადრის დასაქმების თუ დაწინაურების. ასევე აღნიშნა, რომ სამწუხაროდ სსსმ პირების რაოდენობა გაზრდილია, ამიტომ ესეც იწვევს კურსდამთავრებულთა დასაქმებას. გარდა ამისა, ეს პროგრამა არის გადამზადების და არა მომზადების და შესაბამისა კურსდამთავრებულთა დასაქმების პრობლემა არ ყოფილა.
საბჭოს სხდომის მონაწილემ ქ-ნ ქეთევანმა კიდევ დააკონკრეტა კითხვა და აღნიშნა, რომ დამსაქმებლები ითხოვენ სრული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომს, აქედან გამომდინარე, როგორ მოახერხებენ ამ პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმებას. პასუხად ქალბატონმა ია ერაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს პროგრამა არ არის მომზადების, არამედ არის გადამზადების პროგრამა, რომლის დამთავრების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი და არა დიპლომი, და არის განსაზღვრული სფეროში უკვე გარკვეული დასაქმებული პირებისთვის, ამისთვის მიღების წინაპირობაცაა განსზღვრული.
სხდომის თავმჯდომარემ მადლობა განუცხადა საკითხის წარდგენისა და განხილვისათვის ექსპერტებს და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA -ის ,,სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა'' პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

მომხრე:9
მოწინააღმდეგე: 0

ექსპერტის დასკვნის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის (ს/კ:406037550) ,,სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა'' პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

3. შპს აჭარა ტექსტილეს/00449/ ,,მკერავი ოპერატორი'' პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ ქუჩულორიამ მიმართა საკითხის წარმდგენებს, იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის წევრები უკვე იცნობდნენ დოკუმენტაციას და წარდგენისას ყურადღება გაემახვილებინათ ძირითად საკითხებზე.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა მარიამ აბელიანმა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მონიტორინგზე იმყოფებოდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელ ნინო სტეფანიშვილთან ერთად.
ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა.
ვიზიტის დროს გაიცა რეკომენდაციბი 3.4 და 3.7 ქვესტანდარტთან დაკავშირებით.
3.4.ქვესტანდარტი :
დაწესებულების „სწავლების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში“ ასახულია რიგი საკითხები, რომლებიც არ არის თავსებადი მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამების სპეციფიკასთან. რეკომენდირებულია, დაწესებულებამ გადახედოს აღნიშნულ დოკუმენტს და გაასწოროს ტექნიკური უზუსტობები.
3.7.ქვესტანდარტი:
დაწესებულებას tvet.emis.ge-ის ელექტრონულ სისტემაში ატვირთული აქვს მხოლოდ კურსდამთავრებულების სერტიფიკატები, დანართების გარეშე. გამომდინარე იქიდან, რომ სერტიფიკატის დანართი სერტიფიკატის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, რეკომენდირებულია, რომ tvet.emis.ge-ის ელექტრონულ სისტემაში სერტიფიკატებთან ერთად აიტვირთოს მისი დანართებიც.
ექსპერტმა სხდომის წევრებს წარუდგინა საკითხი და შეახსენა, რომ შპს აჭარა ტექსტილეში გეგმიური მონიტორინგი ჩატარდა ,,მკერავი ოპერატორის'' პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში.მონიტორინგის ფარგლები იყო მესამე სტანდარტი და აღნიშნეს, რომ ყველა ქვესტანდარტი, რომელიც მესამე სტანდარტს ეხებოდა არის დაკმაყოფილებული.

ექსპერტმა ისაუბრა 3.1-3.7 ქვესტანდარტების შესახებ.
3.1.ქვესტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა ისაუბრა შპს აჭარა ტექსტილეს დაარსებასა და განვითარების შესახებ. კომპანია აცნობიერებს საკუთარ როლს როგორც სამკერვალო წარმოების მიმართულებით დარგის განვითარებაში, ასევე, საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდებაში. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, აღნიშნული პროგრამის შექმნის საჭიროება წარმოშვა შრომის ბაზარზე კვალიფიციური კადრების დეფიციტმა და მიზნად დაისახეს შრომისუნარიანი ადამიანების მოძიება, რომლებსაც შემდგომში დასაქმებითაც უზრუნველყოფდნენ. აქედან გამომდინარე ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია.
3.2.ქვესტანდარტს რაც შეეხება ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების განსაზღვრისთვის დაწესებულებაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ბრძანების N 71/ნ საფუძველზე, შპს აჭარა ტექსტილეს დირექტორების 2020 წლის 15 ივნისის N15/06-20 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული მომზადების პროგრამაზე „მკერავი ოპერატორი“ ჩარიცხვის წესი და პირობები. წესში მოცემულია ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობებზე, რეგისტრაციის გამოცხადებაზე, აპლიკანტებთან დაკავშირების ვადებსა და პროცედურებზე, აპლიკანტთა შერჩევაზე, აპლიკანტებისთვის მსმენლის სტატუსის მინიჭებაზე, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსებაზე და სხვა. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში, შერჩევითი პრინციპით შემოწმდა კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მინიჭებული სტატუსები, შედგა გასაუბრება კურსდამთავრებულებთან. ზემოაღნიშნული პროცედურები შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაწესებულების მიერ დადგენილ ჩარიცხვის წესთან და პირობებთან.
3.3. ქვესტანდარტს რაც შეეხება შპს „აჭარა ტექსტილე“ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას ახორციელებს ვებგვერდის და

სოციალური ქსელის მეშვეობით. პროგრამის შესახებ, ინფორმაციის გავრცელების მიზნით, დაწესებულების ოფიციალურ Facebook გვერდსა (Ajara Textile) და იმ კომპანიის ვებ-გვერდზე (milteks.com.tr), რომლის შვილობილ კომპანიასაც შპს „აჭარა ტექსტილე“ წარმოადგენს, თავსდება ინფორმაცია. განცხადება ვრცელდება, ასევე დაწესებულების თანამშრომლებში, საინფორმაციო დაფისა და პირისპირი კომუნიკაციის მეშვეობით. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა ყველა მტკიცებულება რის შედეგადაც ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია.

3.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა ისაუბრა და აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული მომზადების პროგრამა „მკერავი ოპერატორისთვის“ ხარისხის შიდა მექანიზმის უზრუნველყოფის ანგარიში (16.03.2022), რომელიც აგებულია მათსავე დოკუმენტის -„სწავლების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“- მიხედვით.

ასვევ შპს აჭარა ტექსტილეს პროფესიული მომზადების პროგრამისთვის „მკერავი ოპერატორი“ შემუშავებული აქვს „სწავლების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, რომელიც დაფუძნებულია ციკლურ მოდელზე „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გაუმჯობესე“. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტი მოიცავს ისეთ პუნქტებს, რომლის შესრულების ვალდებულებაც არ აქვს კომპანიას. მაგალითად: დოკუმენტში (პუნქტი 2.3) მითითებულია, რომ კომპანია ახორციელებს თვითშეფასებას ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასებას. ამას გარდა, დოკუმენტში გამოყენებულია, ტერმინები, რომელიც არარელევანტურია მოკლევადიანი პროგრამებისთვის, მაგალითად „პროფესიული სტუდენტი“, „მოდული“ და სხვა. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ვინაიდან მათთვის ახალი იყო საგანმანათლებლო საქმიანობა, დოკუმენტის შემუშავებისას იხელმძღვანელეს კოლეჯების გამოცდილებით და მათი მარეგულირებელი წესებით, შესაბამისად დოკუმენტში ტექნიკურად დარჩენილია ზემოაღნიშნული ჩანაწერები. აქედან გამომდინარე გაიცა რეკომენდაცია.

რაც შეეხება 3.5 ქვესტანდარტს ექსპერტების მიერ ვიზიტის ფარგლებში, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების განხორციელების შესახებ ინფორმაცია გადამოწმდა საინფორმაციო მართვის სისტემაში. შემოწმდა ბაზის შევსების სისრულე პროფესიული მომზადების პროგრამისათვის „მკერავი ოპერატორი“, რითიც დადასტურდა, რომ დაწესებულება კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას. რაც ნიშნავს, რომ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია.

3.6.ქვესტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, რაც დასტურდება ვიზიტის დროს წარმოდგენილი დოკუმენტებით.

3.7.ქვესტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულებამ წარმოადგინა გაცემული სერტიფიკატების ნიმუშები, რომელიც შეთანხმებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან ენობრივ სისწორეზე და რეგისტრირებულია სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში. კომპანიას სერტიფიკატები გაცემული აქვს შესაბამისი ორენოვანი დანართით, რომელიც, ასევე შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 მაისის N 99/ნ ბრძანების მოთხოვნებს.

ვიზიტზე შემოწმდა tvet.emis.ge-ის ელექტრონულ სისტემაში ატვირთული სერტიფიკატები, რითიც დასტურდება, რომ დაწესებულება გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ატვირთული აქვს მხოლოდ სერტიფიკატები, დანართების გარეშე. აღნიშნულთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია.

საკითხის წარდგენის ბოლოს ექსპერტმა მადლობა განუცხადა ყველას დათმობილი დროისათვის და აღნიშნა, რომ მონიტორინგის ვიზიტი მიმდინარეობდა საქმიან და მეგობრულ გარემოში და დატოვა სასიამოვნო შთაბეჭდილება, რაზეც მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა წარმდგენს და იკითხა, ვინმეს ხომ არ ჰქონდა დამატებითი კითხვები, ნიკოლოზ მესხიშვილმა განაცხადა, რომ უნდოდა კომენტარის გაკეთება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. აინტერესებდა შპს აჭარა ტექსტილეს ფეისბუკ გვერდის დაზუსტება, რადგან თვითონ ვერ ახერხებდა რეალური გვერდის მოძიებას, რაზეც ექსპერტმა მარიამ აბელიანმა უპასუხა, რომ ფეისბუკ გვერდი ნამდვილად არსებობს და მოხდა ამ მტკიცებულებების ექსპერტებისთვის წარდგენა ვიზიტის ფარგლებში. ნიკოლოზ მესხიშვილმა გააჟღერა რეკომენდაცია, რომ კარგი იქნებოდა კომპანიის მხრიდან ინფორმაციის არასწორად მიწოდების თავიდან აცილების მიზნით, მომხდარიყო სხვა ფეისბუკ გვერდების გაუქმება, ან მოქმედი ფეისბუკ გვერდის მეტი პოპულარიზაცია, რათა ხდებოდეს კომპანიის მარტივად მოძიება.
დისკუსიას ჩაერთო კომპანიის წარმომადგენელი არჩილ მართალიშვილი. მან აღნიშნა, რომ კომპანიას გააჩნია როგორც facebook გვერდი, ისე ვებ-გვერდი. ექსპერტმა მარიამ აბელიანმა და ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნეს, რომ facebook გვერდი, რომელიც მოიძიეს, არის ინგლისურენოვანი დასახელებით და ქართულად არ მოუძებნიათ კომპანიის სოციალური გვერდი. ნიკოლოზ მესხიშვილმა დაამატა, რომ გვერდზე, რომელიც იძებნება ქართულად განთავსებული ინფორმაცია არის მოძველებული და საჭიროებს განახლებას, თუ ეს არის ნამდვილად აქტიური facebook გვერდი. კომპანიის წარმომადგენლის მხრიდან მოხდა დასტური, რომ ქართულ ენაზე კომპანიის facebook გვერდი არ იძებნება. აქედან გამომდინარე ნიკოლოზ მესხიშვილმა კომპანიიის წარმომადგენლებს რეკომენდაცია მისცა, რომ გამოესწორებინათ ეს შემთხვევა, განეახლებინათ ინფორმაცია და შეექმნათ ქართულენოვანი გვერდი კომპანიისთვის. აღნიშნული რეკომენდაცია მიიღო და თანხმობა განაცხადა კომპანიის წარმომადგენელმა.
საბჭოს აპარატის წევრმა ლანა გაჩეჩილაძემ ითხოვა სიტყვა და აღნიშნა, რომ სფეროს დიდი მოყვარულია და სოციალური ქსელების ჯგუფებში შპს აჭარა ტექსტილეს ცნობადობა ნამდვილად არ აკლია. ასევე აღნიშნა, რომ იცოდა შპს აჭარა ტექსტილეს რუსთავის ფილიალის შესახებ და იკითხა აპირებდნენ თუ არა სასწავლო პროცესის წარმართვას რუსთავში, რადგან მოთხოვნა დიდია ამ რეგიონშიც.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა კითხვისთვის და უპასუხა, რომ სურვილი მათაც აქვთ რუსთავის ფილიალში სასწავლო პროცესის წარმართვის, თუმცა ამ ეტაპზე არ აქვთ სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა, იმის მიუხედავად, რომ სახანძრო უსაფრთხოების სისტემები არსებობს შენობაში დასკვნას ვერ იძლევიან, რადგან სჭირდებათ სპრინტლერების სისტემა, აღნიშნულის აღმოსაფხვრელად მიმდინარეობს მუშაობა და დასრულდება რამდენიმე თვეში. ამის შემდეგ კი უკვე შეიტანენ განაცხადს ცენტრში, რომ მსგავსი კურსის განხორციელება დაიწყოს რუსთავშიც.
სხდომის თავმჯდომარემ მადლობა განუცხადა საკითხის წარდგენისა და განხილვისათვის მსმენელებს და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს აჭარა ტექსტილეს "მკერავი ოპერატორის'' პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

მომხრე: 9
მოწინააღმდეგე: 0

ექსპერტის დასკვნის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ

დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს აჭარა ტექსტილეს (ს/კ: 245619898) ,,მკერავი ოპერატორის“ პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

4. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის /01418/ ,,კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი" პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

5. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის /01416/ ,,ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი" პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

6. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის /01415/ ,,ბიბლიოთეკარი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ ქუჩულორიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ წარედგინათ პროგრამები და ყურადღება გაემახვილებინათ მნიშვნელოვან საკითხებზე, ასევე, იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც ექსპერტებს აქვს გაცემული დასკვნაში ბიბლიოთეკარის პროგრამასთან დაკავშირებით. კონკრეტულად უპასუხოს იმ საკითხს, რომელიც ეხებოდა ამ რეკომენდაციას და წარუდგინოს მისი მოსაზრება საბჭოს წევრებს.

საკითხები საბჭოს სხდომაზე წარადგინა დაწესებულების დირექტორმა ვახტანგ ბერიძემ. მან წარუდგინა თავი საბჭოს და გააცნო მისი სკოლა დამსწრეებს. აღნიშნა, რომ პირველი პროგრამა, რომელიც დაარსების დღიდან მოქმედებს, არის ბიბლიოთეკარი. პირველ წელს კი 60 მსურველი მიიღეს. ამ წლიდან მოყოლებული 2009 წლის ჩათვლით სკოლას 940 ბიბლიოთეკარი ჰყავს მომზადებული, რომლებიც არიან დასაქმებულები. 2010 წელს მოხდა სკოლის რეკონსტრუქცია და ბიბლიოთეკარის პროგრამა აღარ ხორციელდებოდა, თუმცა ახლა გადაწყვიტეს, რომ აღედგინათ ეს პროგრამა, რადგან 2015-16 წლებში მოხდა სასოფლო და სარაიონო ბიბლიოთეკების აღდგენა და ამიტომ საჭიროა კვალიფიციული კადრი და ადამიანური რესურსი. ამიტომ გადაწყვიტეს მოკლევადიანი მომზადების პროგრამის შემუშავება, მიიღეს ექსპერტისგან რეკომენდაციები, მათგან უმრავლესობა უკვე გამოსწორებული და გათვალისწინებულია. მაგალითად: პროგრამის ხანგრძლივობა იყო 28 კვირა, მომზადდა პროექტი, რომლითაც შეცვალეს და პროგრამა გახადეს 20 კვირიანი. პროგრამის 1.9 ქვესტანდარტთან დაკავშირებით იყო რეკომენდაცია, რომ ჰყოლოდათ პარტნიორი ორგანიზაცია, ამ მიმართულებით შესრულდა რეკომენდაცია და წარმოადგენენ შესაბამის მტკიცებულებებს დაინტერესებული პირებისათვის. ასევე იყო რეკომენდაცია, რომ ყოფილიყო B გარემო ეს რეკომენდაციაც გათვალისწინებულია და შეძენილია კომპიუტერები, რომლის დამადასტურებელ დოკუმენტაციასაც წარადგენენ. ასევე უკვე მოწყობილია B გარემოც. ასევე ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო 2.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებითაც, რომ გადაემზადებინათ განმახორციელებელი პირები, მოხდა რეკომენდაციის გათვალისწინება, საბიბლიოთეკო ასოციაციისა და ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ განხორციელდება ტრენინგ კურსები, რომელსაც გაივლიან პროგრამის განმახორციელებელი პირები.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა წარმდგენს და ექსპერტების ჩართვამდე იკითხა, თუ ვინ ასაქმებს კონკრეტულად ,,ბიბლიოთეკარს“, ,,კულტურული ღონისძიების ორგანიზატორს“ და ,,ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობს“.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ,,ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობს“ ასაქმებს აჭარაში მოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლები, როგორიცაა: ,,არსიანი“, ,,ბათუმი“, ,,ხორუმი“ და მუნიციპალური ანსამბლები. ამ ორგანიზაციებთან აქვთ ზეპირი შეთანხმება თანამშრომლობასთან დაკავშირებით, ხოლო დანარჩენ ორ პროგრამასთან დაკავშირებით არსებობს მემორანდუმები.
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა საკითხი კომპიუტერების რაოდენობასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ როგორც იცოდა არ აკმაყოფილებდა კომპიუტერების რაოდენობა სტანდარტს. დაწესებულების პასუხიდან გაირკვა, რომ სხდომის მომენტში რაოდენობა დაკმაყოფილებული ნამდვილად არ არის, თუმცა სექტემბრის თვეში იგეგმება კიდევ დამატებით 5 კომპიუტერის შეძენა.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ ქუჩულორიამ დასვა შემდეგი კითხვა, თუ რას ფიქრობდა დაწესებულების წარმომადგენელი ექსპერტების მიერ მიცემულ რეკომენდაციაზე განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას მიაჩნია, რომ მისი პროგრამის განმახორციელებელი პირები არიან კვალიფიციურები და არ საჭიროებენ კვალიფიკაციის ამაღლებას. ასევე აღნიშნა, რომ ერთ-ერთი განმახორციელებელი პირი უკვე სერტიფიცირებული იყო, თუმცა ვიზიტის დროს იყო ტექნიკური ხარვეზი და აღნიშნული სერტიფიკატი არ იყო ატვირთული.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა წარდგენისთვის და საბჭოს წევრებს მიმართა ხომ არ ჰქონდათ კონკრეტულად დაწესებულების წარმომადგენელთან კითხვა.
საბჭოს წევრმა, გიორგი გამყრელიძემ გამოთქვა სურვილი კითხვის დასმის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ წარდგენის შემდეგ დარჩა სიცარიელე, თუ რამდენადა მოთხოვნადი აღნიშნული პროგრამები. რადგან პროგრამების უფლების მოპოვების შემდეგ ორგანიზაციას მიეცემა 3 წლით პროგრამების განხორციელების უფლება, შესაბამისად უნდა იყოს მდგრადი, ეს კი არ ჩანს. რას ეფუძვნება უშუალოდ მოთხოვნის კომპონენტი, თუ კი არსებობს რაიმე საჭიროება ბაზარზე, კონკრეტულად რამდენი ადამიანის. მან ასევე გამოთქვა მოსაზრება, იქნება უკეთესი ყოფილიყო ბიბლიოთეკარის პროგრამის განხორციელება, როგორც გადამზადების პროგრამის, რათა მოხდარიყო არსებული კადრების გადამზადება და თანამედროვე რეგულაციების გაცნობა/შესწავლა მათთვის.
ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ პროგრამის საჭიროებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მისი მოთხოვნადობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ახალი რეგულაციების მიხედვით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესი და ასევე, სტანდარტების მიხედვით სკოლებში სერტიფიცირებული ბიბლიოთეკარების არსებობის საჭიროება.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ლანა გაჩეჩილაძეს აღნიშნული კომენტარისთვის და დაამატა ისიც, რომ ეთანხმება ბატონი გიორგი გამყრელიძის შენიშვნებსაც.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტებს საკითხის წარდგენის მიზნით.
ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ წარადგინა მომზადების პროგრამის ,,კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი'' საკითხი. მან აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა 28 ივლისს.
პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე-4, პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში არის 11 კვირა, ხოლო მსმენელთა ზღვრული რაოდენობა -15.
ლანა გაჩეჩილაძემ ყურადღება გაამახვილა გაცემულ რეკომენდაციებზე:

1.4 ქვესტანდარტი-აღსანიშნავია, რომ დაშვების წინაპირობის აღწერის ველში ტექნიკურად არასწორად მითითებული აქვს ,,საბაზო ზოგადი განათლება-იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები", აღნიშნული ჩანაწერი არ შეესაბამება პროფესიული მომზადების და გადამზადების სპეციფიკას და რეკომენდირებულია ამოღებულ იქნას.
ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა.
საკითხის წარმდგენმა ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის ერთ-ერთი განმახორციელებელი პირი არის თვითონ დირექტორი, რომელსაც საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს ღონისძიებების ორგანიზებაში, არის ლიტერატურის საერთაშორისო ფესტივალის ,,ზე-კართან" დამფუძნებელი. აღნიშნული ორგანიზაციის სოციალური ქსელის გვერდის მონახულებისას ნამდვილად ჩანს, რომ პროგრამა ,,კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი'' აქტუალური იქნება. რაც შეეხება პროგრამის მიზანს სრულიად შესაძლებელია სწავლის შედეგების მიხედვით მიზნის მიღწევა. პროგრამას აქვს ექვსი სწავლის შედეგი და სრულიად შესაძლებელია აღნიშნულ ვადაში მიღწევა. თუმცა საჭიროა მეექვსე სწავლის შედეგთან კავშირებით გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინება. 1.7. ქვესტანდარტი - პროგრამის მეექვსე სწავლის შედეგია პროექტების წერა, რომლის მნიშვნელობა მიზანშიც მკაფიოდ ჩანს. ამ შედეგის მისაღწევად ბოლო ერთი კვირა არის დათმობილი, სულ 20სთ, თუმცა შესაძლებელია სხვა შედეგებთან ბმაშიც ისწავლებოდეს. რეკომენდებულია ბოლო კვირების მანძილზე, კერძოდ, მე-5 შედეგის (კოორდინირება) თემატიკაში გადანაწილდეს პროექტის წერის პრაქტიკული კომპონენტი, რაც თავისთავად გააძლიერებს ამ კონკრეტული უნარის გავარჯიშებას.
ლანა გაჩეჩილაძემ ასევე ისაუბრა პროგრამის პრაქტიკულ ნაწილთან დაკავშირებით. პროგრამის დაახლოებით 70% არის პრაქტიკული კომპონენტი. ასევე დაგეგმილია პარტნიორი ორგანიზაციის ,,არტ-ცენტრის" მეშვეობით სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში და ფესტივალებში ჩართვა. ასევე აღნიშნა, რომ პროგრამას ჰყავს ორი განმახორციელებელი პირი რომელთა კომპეტენციაში ეჭვი არ შეპარვიათ. პრეზენტაციის ბოლოს ფოტო მასალა წარადგინა თუ სად ხდებოდა თეორიული ნაწილის სწავლება. შემდეგ კი სიტყვა გადაეცა დარგის სპეციალისტს ქალბატონ მაკო ჯაოშვილს.
მან აღნიშნა, რომ ადგილზე დათვალიერებით და გასაუბრებით დადასტურდა განმახორციელებლის კვალიფიკაცია და მისი გამოცდილება. რაც შეეხება რესურსებს წარმოდგენილი A, C გარემო სრულიად საკმარისი და მისაღებია ყველა სწავლის შედეგის განხორციელებისა და მიღწევისათვის. ასევე აღნიშნა, რომ როგორც დარგის სპეციალისტი ადასტურებს, რომ მოთხოვნადი ნამდვილად არის აღნიშნული პროგრამა, განსაკუთრებით აჭარის რეგიონში, პროგრამა ბმაშია ტურისტულ სფეროსთან და იმედოვნებს, რომ პოსტკოვიდურ პერიოდში მეტად გაძლიერდება. რეალურად პროგრამას აქვს საკმაოდ დიდი პერსპექტივა. მოთხოვნილი არის პროგრამისთვის 15 მსმენელი ინფრასტრუქტურულად შესაბამისობაშია მოთხოვნილთან. სწავლების მეთოდები არის მრავალფეროვანი და თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ხარისხიანად შესწავლის საშუალებას იძლევა. დარგის ექსპერტმა წარმატება უსურვა პროგრამას და დაწესებულებას და მადლობა გადაუხადა მეგობრულ გარემოში წარმართული ვიზიტისათვის.
საბჭოს წევრმა ბატონმა გიორგი გამყრელიძემ აღნიშნა, რომ მისი აზრით, აღნიშნული კურსის განხორციელება არაფორმალური განათლების ფარგლებშიც შეიძლება, რომელიც იქნება უფრო მოქნილი, ეფექტური და მორგებული იქნება მსმენელზე. მას მოკლე დროში შეეძლება აღნიშნული კურსის გავლა არაფორმალურ გარემოში. ამიტომ ვერ ხედავს ასეთი კურსების მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების ფარგლებში განხორციელების აუცილებლობას.
დარგის ექსპერტმა უპასუხა გიორგი გამყრელიძის მოსაზრებას და განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამის გავლის შემდეგ გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი, ასევე არიან დამსაქმებლები, რომლებსაც სერტიფიკატის გამცემი ორგანო აინტერესებთ და უყურებენ, თუ სად აქვს გავლილი და დადასტურებული კვალიფიკაცია ვაკანტურ ადგილზე მოსულ

ადამიანს. შესაბამისად აპლიკანტიც დაინტერესებულია, რომ გაიაროს მომზადება/გადამზადება ისეთ დაწესებულებაში, რომლის მიერ გაცემული სერტიფიკატი თუ დიპლომი იქნება სახელმწიფოს მიერ აღიარებული. სწორედ ესაა უპირატესობა ამ პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებაში.
საბჭოს წევრმა, თორნიკე თოხაძემ განაცხადა, რომ სხდომის პარალელურად მოიძია ინფორმაცია ფორმალური განათლების ფორმატში მსგავსი ტიპის პროგრამის არსებობის შესახებ. ინფორმაცია იძებნება და ნამდვილად არსებობს მსგავსი გამოცდილება სხვადასხვა ქვეყნებში, რომლებიც ახლოა განვითარების მხრივ საქართველოსთან.
სხდომის თავმჯდომარემ მარიამ ქუჩულორიამ მადლობა გადაუხადა წარმდგენებს და იკითხა რას ფიქრობდნენ პროგრამის კენჭისყრაზე დაყენებასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრმა ინიციატივა გააჟღერა იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭო გასულიყო სათათბიროდ.
საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის /01418/ ,,კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 1

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლას (ს/კ: 445391736) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი / 01418 / **(დანართი 1).**

სხდომაზე ,,ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობის'' პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების საკითხი წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ.
საკითხის წარმდგენმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე-მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში -36, ხოლო მსმენელთა ზღვრული რაოდენობა -15.
საჭიროების დასაბუთების ნაწილში ინფორმაცია იქნა მოწოდებული, რომ რეგიონში არის 3 აკადემიური სტუდია, ათზე მეტი თვითმოქმედი ანსამბლი და ორასზე მეტი სტუდია. გარდა ამისა, რადგან ტურისტული ზონა დიდ ყურადღებას იქცევს, ამ პროგრამაზე არის თვითდასაქმების დიდი შესაძლებლობა სხვადასხვა რესტორნებში, არის შესაძლებელი ცეკვის ნომრების შეთავაზება დაწესებულებებისათვის და ამდენად თვითდასაქმების მაჩვენებელი დიდია. რაც შეეხება მიზანს, პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ქორეოგრაფიული ანასამბლის მოცეკვავე - მსახიობი“ მიზანია მოამზადოს პირი, რომელიც შეძლებს საშემსრულებლო შემოქმედებითი, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარ – ჩვევების გამოყენებით სხავადასხვა ჟანრის საცეკვაო ნომრის შესრულებას.

შესაბამისად, პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანი კონკრეტულია და მკაფიოდ ფორმულირებული, სრულად შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.
პროგრამის ხანგრძლივობა ჯამურად არის 720 საათი, ხოლო დაშვების წინაპირობები ექსპერტების დასკვნით სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას პროგრამის განხორციელების ვადაში. სულ არის შვიდი სწავლის შედეგი, სადაც ისწავლება, როგორც ქართული, ისე სამეჯლისო და მსოფლიო ხალხთა ცეკვები. ასევე ხდება სამსახიობო ხელოვნების დაუფლება და სხვა. საკითხის წარმდგენმა აღნიშნა, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია. ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი პროგრამის დაახლოებით 80% მოიცავს. ასევე აღინიშნა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 6 პირი. ვიზიტის ფარგლებში მოხდა სამ მათგანთან გასაუბრება. დარგის ექსპერტის შეფასებით, ქვეყანაში იშვიათად თუ მოიძებნება ასეთი კვალიფიციური შემადგენლობის პირები. ცენტრის წარმომადგენელმა პრეზენტაციის ბოლოს წარმოადგინა ფოტო მასალა თეორიული სწავლების სივრცეების. ასევე დაამატა, რომ როგორც მისთვის ცნობილია, დაწესებულებისთვის უკვე გამოყოფილია თანხა, რომლითაც მოხდება პროგრამებისთვის საჭირო დიდი სივრცეების რეაბილიტაცია. თავმჯდომარე დაინტერესდა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის გამოყოფილი სივრცის ფოტოებით. ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ ამავე სივრცეში ტარდება მეორე მოკლევადიანი პროგრამაც, რისი განხორციელების უფლებაც მოიპოვა ორგანიზაციამ
პროგრამის მიღების წინაპირობასთან დაკავშირებით საბჭოს წევრებს გაუჩნდათ შეკითხვები, თუ როგორ მოხდება სფეროში გამოუცდელი ადამიანის მომზადება ისეთ დონეზე, რომ გახდეს მოცეკვავე-ქორეოგრაფი. თუმცა დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიღების წინაპირობა გულისხმობს იმას, რომ აპლიკანტს უკვე უნდა ჰქონდეს გარკვეული გამოცდილება ან ქორეოგრაფიული სტუდია გავლილი, რაც მიღების დროს კომისიასთან პროფესიული მოსინჯვით უნდა დაადასტუროს.
მარიამ ქუჩულორია დაინტერესდა კომისიასთან მოსინჯვის შემოწმების კრიტერიუმებით. რაზეც სკოლის დირექტორმა ვახტანგ ბერიძემ განაცხადა, რომ ეს მოხდება პრაქტიკული დავალების მიცემით, მაგალითად, რამდენიმე ცეკვის დაჯგუფებით ჟანრობრივად ან კუთხობრივად, ამის შემდეგ მოხდება ცეკვის შესრულება აპლიკანტის მხრიდან და შეფასება კომისიის მხრიდან. დარგის ექსპერტმა, უჩა დვალიშვილმა განმარტა, რომ მიღებამდე მათ უნდა იცოდნენ როგორც ქართული, ასევე მსოფლიო ხალხთა ცეკვების ელემენტები, რასაც დაადასტურებენ პრაქტიკულადაც მიღების დროს.
საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ ქუჩულორიამ მადლობა გადაუხადა წარმდგენებს და იკითხა ვინმეს ხომ არ ჰქონდა დამატებითი შეკითხვები საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრმა თამაზ ბახტაძემ განახადა, რომ ჰქონდა შეკითხვა, მისთვის ბუნდოვანი იყო დასაქმების საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილი იყო დაწესებულების მხრიდან სხვადასხვა ქორეოგრაფიული ანსამბლები. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა მას და აღნიშნა, რომ მათ სხვა პროგრამის ფარგლებში გააჩნიათ მემორანდუმები ქორეოგრაფიულ ანსამბლებთან, მათი წარმომადგენლები კი ამ კონკრეტულ პროგრამაში არიან განმახორციელებელი პირები, შესაბამისად ეს გულისხმობს, მათთან იგივე თანამშრომლობას.
წარმდგენმა ლანა გაჩეჩილაძემ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილის/დარბაზის ფოტოები წარუდგინა სხდომის წევრებს.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის /01416/ ,,ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 5

წინაღმდეგი: 4

კენჭისყრის ელექტრონული სისტემის საშუალებით ფიქსირდება უარი პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებაზე.

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნე ბის სკოლას (ს/კ: 445391736) უარი ეთქვას განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ,,ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი“ /01416/.

მარიამ ქუჩულორიამ საბჭოს წევრებს მიმართა და სთხოვა დაესაბუთებინათ, დაესახელებინათ მიზეზი და კონკრეტულად, თუ რომელი ქვესტანდარტი მიიჩნიეს ხარვეზად.

გიორგი გამყრელიძემ განაცხადა, რომ მისთვის, დაწესებულების მხრიდან არგუმენტების მიუხედავად, გაუგებარი იყო განმარტება დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით. ასევე, მიუღებელი იყო გარემო, სადაც მოხდებოდა პროგრამის განხორციელება. გარდა ამისა, გაუგებარი იყო პროგრამის სახე, ეს იყო მომზადება თუ გადამზადება.

საბჭოს წევრების გადაწყვეტილებით, ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლისთვის ,,ბიბლიოთეკარის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა გადაიდო 22 აგვისტომდე.

14:07 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
გამყრელიძე გიორგი



დანართი

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01418	კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	11	ქართული	15	ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №11